პ რ ო ე ქ ტ ი

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის --- თებერვალი

ქ. წყალტუბო

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტის „გ.ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მაია ზერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: არჩილ ღიბრაძე

წერილის ნომერი: **48-482605632**
თარიღი: **25/02/2026**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს**

**ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის**

**გენადი ბალანჩივაძის**

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ**

**2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად**

**განხორციელებული შესყიდვების შესახებ**

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და წარდგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტის „გ.ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წელს განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შემუშავდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის" მე-4 მუხლისა და 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის" შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შედგენისას, ერთიანი სისტემატიზებული ფორმით შეგროვდა და გაანალიზდა ინფორმაცია დაგეგმილი და წარმოებული სახელმწიფო შესყიდვების, არსებული და შესაძლო შესყიდვის ობიექტების პოტენციური მომწოდებლებისა და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ორგანიზაციების, მათ მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 20 ნოემბრის №ბ48.482432513 ბრძანებით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების შესაბამისად, 2025 წლის დასაწყისისათვის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იქნა **5 508 154.60** ლარის საერთო (ჯამური) ღირებულების სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განხორციელება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის" მე-4 მუხლის მე-$3^1$ პუნქტის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში, ამჟამინდელი მდგომარეობით, 59-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები. სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად, 2025 წლის დასაწყისისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული შესყიდვების საერთო (ჯამური) ღირებულება გაიზარდა და 2025 წლის საბიუჯეტო წლის დასრულებისათვის საერთო (ჯამური) ღირებულებით შეადგინა **- 31 222 246,67** ლარი (**შენიშვნა:** 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის საბოლოო კორექტირება/ცვლილება

განხორციელდება საკასო შესრულების გათვალისწინებით, არაუგვიანეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველი კვარტლის დასრულებისა).

***ა) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე მრავალწლიანი პროექტები.***

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებით, დამტკიცებული იქნა 2025 წელს მუნიციპალიტეტებში, მათ შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები (საწყის ეტაპზე - სულ 15 პროექტი, აქედან 2024 წელს დაწყებული და 2025 წელს გარდამავალი 7 პროექტი, ხოლო 2025-2026-2027 წლებში განსახორციელებელი 8 პროექტი). საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №1212 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებაში, რომლითაც დამტკიცებული იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დამატებით განსახორციელებელი პროექტები და ჯამურად მუნიციპალიტეტში განსახორციელებელმა პროექტების რაოდენობამ შეადგინა 17 პროექტი. აღნიშნული ჩვიდმეტი პროექტიდან თექვსმეტი პროექტი წარმოადგენს მრავალწლიან პროექტს, ხოლო ერთი პროექტი დაიწყო და დასრულდა საკასოთი 2025 წელს. ჯამში თექვსმეტი მრავალწლიანი პროექტიდან შვიდი მათგანი დაიწყო 2024 წელს და დასრულდება საკასოთი 2026 წელს, რვა პროექტი დაიწყო 2025 წელს და დასრულდა საკასოთი 2026 წელს, ხოლო ერთი პროექტი დაიწყო 2025 წელს, მიმდინარეობს და დასრულდება საკასოთი 2027 წელს. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 25 დეკემბრის №2210 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილ დაფინანსებაში შეტანილი ბოლო ცვლილების მიხედვით, პროექტების მთლიანი ღირებულების ფარგლებში 2025 წელს ასანაზღაურებელმა თანხებმა შეადგინა **14 791 843.00** ლარი, საიდანაც რ.გ.პ.ფ. - დან გამოყოფილი თანხა შეადგენს - **13 270 649.00** ლარი, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანამონაწილეობის თანხა - **1 521 194.00** ლარი.

საბოლოოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებების შესაბამისად, 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებულ იქნა შემდეგი პროექტები:

| № | პროექტების დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის ფარგლებში 2025 წელს ასანაზღაურებელი თანხები | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში (ქვიდა ქვილიშორში) სასმელი წყლის ქსელისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია-მოწყობა | შპს „B&B" ს/კ: 404390039 | 1 970 884,70 | 964 732,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2024 წელს, დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. |
| 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 2 672 769,00 | 1 573 502,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2024 წელს, დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. |
| 3 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში აბდალაძე-ფხაკაძეების უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 1 244 018,00 | 1 079 772,00 | დასრულებულია საკასოთი |

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში (ძვ. საყულია) წისქვილის, მეკვერიების, ლომიძეებისა და კაშიას უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 500 877,00 | 378 796,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 5 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფურჩხეთში ახალი სასაფლაოს გზის, სოფელ ჯიმასტაროში მანაგაძეების, მელქაძეების, ტურაბელიძეებს უბნებში, ყოფილი სკოლის უკან, ჩაკვეტაძეებისა და ხელაიების უბნებში, სოფელ გუმათში ავალიანების, დაჩების, ველას უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 1 309 086. 99 | 661 602,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 6 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში (მე-10 ქუჩაზე), ზედა ჩუნეშში ლორთქიფანიძე-თვალოძეების უბანში, სოფელ ყუმისთავში შალამბერიძეების უბანში და სოფელ ბანოჯაში 39-ე ქუჩაზე გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 1 654 578,00 | 1 542 497,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 7 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში იმერეთის საყრდენ პუნქტში (ეკომიგრანტთა დასახლება) და ჭელიძეების უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 1 013 682,00 | 901 602,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 8 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში 26-ე ქუჩასა და შიდა ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 730 321,00 | 730 320,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 9 | სოფელ გვიშტიბში ბენდელიანების, კირთაძეების და ნიჟარაძეების უბნებში, ასევე პირველ ქუჩაზე (მაღაზიის უკან), პირველ ჩიხში, ჩავჩიძეების უბანში და №17 ქუჩაზე გზების მოწყობა ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 542 878,00 | 542 877,00 | დასრულებულია საკასოთი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10 | სოფელ თერნალში მე-15, მე-18, 21-ე ქუჩებზე და ჩაის ფაბრიკის დასახლებაში საერთო საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“<br>ს/კ: 412679061 | 363 308,00 | 363 307,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 11 | სოფელ ქვიტირში N4, N5, N10, N11, N22, N25 და პირველი ქუჩის მე-11, მე-13, მე-7 ჩიხების გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“<br>ს/კ: 412679061 | 1 444 266,00 | 1 343 213,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2025 წელს, დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. |
| 12 | სოფელ ქვედა მესხეთში ნარეშელაშვილების უბანში და სოფელ გეგუთში მეურნეობის დასახლებაში გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“<br>ს/კ: 412679061 | 544 850,00 | 544 849,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 13 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში ბაღათურიების უბანში, ასევე სვანიძეებისა და სილაგაძეების უბნების დამაკავშირებელი გზის და შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“<br>ს/კ: 412679061 | 694 951,00 | 694 950,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 14 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში №28 და №30 ქუჩების და სოფელ ქვილიშორში რუშავას უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“<br>ს/კ: 412679061 | 1 408 951,00 | 1 408 950,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 15 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში და ტყაჩირში შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“<br>ს/კ: 412679061 | 591 267,00 | 591 267,00 | დასრულებულია საკასოთი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **16** | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მექვენაში (ზიდა მექვენა) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „გი-ან 2011“ ს/კ: 412676322 | 120 156,00 | 120 156,00 | დასრულებულია საკასოთი |
| **17** | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში სალიის უბანში, გოცირიძეების უბანში და შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, სოფელ ფარცხანაყანევში კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები, სოფელ გეგუთში მეურნეობის დასახლებაში, სოფელ ოფშკვითში ბაბუნაშვილების უბანში, ბანძელაძეების უბანში (II უბანი ჩხობაძეების დამაკავშირებელი) გზის ბეტონის საფარით მოწყობა, ასევე სოფელ ბენთქოულაში, სოფელ ყუმისთავში ტუსკაძეების უბანში და სოფელ საყულიაში სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“<br>ს/კ: 412679061 | 6 369 080,00 | 1 350 001,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2025 წელს, დასრულდება საკასოთი - 2027 წელს. |
| | **სულ :** | | **23 175 923,69** | **14 791 843,00** | |

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რგპფ) დაფინანსებით პროექტების საერთო (ჯამური) ღირებულებად 2024-2025 წლების განკარგულებებით განისაზღვრა **14 791 843,00** ლარი, მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან – **13 270 649,00** ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით თანადაფინანსება (შევსება) – **1 521 194.00** ლარი. ზემოთ ჩამოთვლილი ჩვიდმეტი პროექტის ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა **23 175 923,69** ლარი, რაც შესაბამისად გაიწერა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024-2025-2026 წლების ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმებში.

***ბ) „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები.***

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტები (მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ჯამური თანხა - **704 000.00** ლარი):

| **№** | **სოფელი** | **პროექტის დასახელება** | **საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა (ლარი)** | **შემსრულებელი ორგანიზაცია (შპს, ინდ. მეწარმე და სხვ.)** | **სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)** |
|---|---|---|---|---|---|
| **1** | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლები | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება | 14 520,00 | შპს „ვაზნარი“<br>ს/კ: 421272107 | **14 520,00** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | სოფელ ზედა ჩუნეში | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა (გაღმა) ჩუნეშში ჭაბურღილის მოსაწყობად, ტერიტორიის გეოფიზიკური-ჰიდროგეოლოგიური მონაცემების დადგენის და ნიადაგის ფენებს შორის საჭირო წყლის დონის განსაზღვრისთვის შესაბამისი დასკვნის მომზადება | 800,00 | ინდ. მეწარმე „ავთანდილ ლანჩავა" ს/კ: 21001035987 | **800,00** |
| 3 | ზედა მესხეთი, მეჩხერი, ყუმისთავი, ჩუნეში | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის: ზედა მესხეთი, მეჩხერი, ყუმისთავი, ჩუნეში, სხვადასხვა სამშენებლო მასალების შესყიდვა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით | 38 000,00 | ინდ. მეწარმე „აკაკი რობაქიძე" ს/კ: 53001014418 | **39 000,00** |
| 4 | ქვედა მესხეთი, ცხუნკური, ჭაშლეთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის: ქვედა მესხეთი, ცხუნკური, ჭაშლეთი, სხვადასხვა სამშენებლო მასალების შესყიდვა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით | 29 500,00 | ინდ. მეწარმე „აკაკი რობაქიძე" ს/კ: 53001014418 | **34 500,00** |
| 5 | ქვიტირი, პირველი წყალტუბო, ოფურჩხეთი, გუმათი, ნამოხვანი, ჯიმასტარო, ჟონეთი, ბენთქოულა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (ქვიტირი, პირველი წყალტუბო, ოფურჩხეთი, გუმათი, ნამოხვანი, ჯიმასტარო, ჟონეთი, ბენთქოულა) ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა | 92 000,00 | შპს „მიმდემი" ს/კ: 412679061 | **92 000,00** |
| 6 | ბანოჯა, ხომული, რიონი, ზარათი, სორმონი, ქვილიშორი, ცხუნკური, ყუმისთავი | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (ბანოჯა, ხომული, რიონი, ზარათი, სორმონი, ქვილიშორი, ცხუნკური, ყუმისთავი) ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა | 114 500,00 | შპს „მიმდემი" ს/კ: 412679061 | **114 500,00** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | მაღლაკი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, ლექვინაძეებისა და ღაჭავების უბანში სპორტული მოედნის შემოღობვის სამუშაოები | 18 800,00 | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | **38 276. 41** |
| 8 | სოფელი წყალტუბო, ჩუნეში | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში ადმინისტრაციული შენობის გამაგრება და ფასადის შეღებვა, ასევე სოფელ ჩუნეშში სოფლის სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები | 34 920,00 | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | **34 920,00** |
| 9 | გუბისწყალი, მიწაწითელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი გუბისწყლის ტაძრის ეზოს მოპირკეთების სამუშაოები, ასევე სოფელ მიწაწითელში სპორტული მოედნის შემოღობვის სამუშაოები | 26 800,00 | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | **38 796. 49** |
| 10 | ახალი საყულია | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ საყულიაში (სვანების დასახლებაში სკვერის ტერიტორიაზე) არსებული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები | 9 700,00 | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | **9 700,00** |
| 11 | ვანისჭალა, დღნორისა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვანისჭალაში და სოფელ დღნორისაში ფანჩატურების მოწყობის სამუშაოები | 20 980,00 | შპს „ლომსია 2023" ს/კ: 424086134 | **32 980,00** |
| | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | დერჩი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ დერჩში წყალშემკრები აუზის მოწყობის სამუშაოები | 29 100,00 | შპს „ლომსია 2023“ ს/კ: 424086134 | **29 100,00** |
| 13 | ლეხინდრისთავი, მექვენა, საჩხეური | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ ლეხიდრისთავში, მექვენაში და საჩხეურში სოფლის შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების სამუშაოები | 29 100,00 | შპს „ასა მოტორსი“ ს/კ: 412743731 | **29 100,00** |
| 14 | ტყაჩირი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში აბრების დამზადება და მონტაჟი ("მე მიყვარს ტყაჩირი") და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები | 19 400,00 | ინდ. მეწარმე „ბესიკი ერისთავი“ ს/კ: 60001127830 | **19 400,00** |
| 15 | გუმბრა, პატრიკეთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში და სოფელ პატრიკეთში სკვერების მოწყობის სამუშაოები | 38 200,00 | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | **58 200,00** |
| 16 | გეგუთი, გვიშტიბი, სოფელი თერნალი, მუხიანი, უკანეთი, ოფშკვითი, ქვედა მესხეთი, საყულია, ფარცხანაყანევი, გუმათი, ქვიტირი, ნოღა, ჭოლევი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ გეგუთში, გვიშტიბში, სოფელ თერნალში, მუხიანში, უკანეთში, ოფშკვითში, ქვედა მესხეთში, საყულიაში, ფარცხანაყანევში, გუმათში, ქვიტირში, ნოღაში და ჭოლევში გარე განათების მოწყობის სამუშაოები | 178 480,00 | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | **178 480,00** |
| 17 | ზედა ჩუნეში | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა გაღმა ჩუნეშში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები | 9 200,00 | ინდ. მეწარმე „მევლუდი ფანცხავა“ ს/კ: 60001061613 | **9 200,00** |

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა - **773 472,90** ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების წილი - **704 000,00** ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების წილი - **69 472,90** ლარი.

***<u>გ) „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში 2025 წელს წყალტუბოს</u>***

***მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები.***

„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №1207 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტები (მთავრობის განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი ჯამური თანხა - **458 159,00** ლარი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის თანადაფინანსების წილი - **446 839,28** ლარი):

| № | პროექტის (იდეის) დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|---|---|---|
| **1** | "მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, ქალაქ წყალტუბოში, ახალგაზრდობის ქუჩაზე, ნუცუბიძის ქუჩაზე, დედა-ენის ქუჩაზე, გურამიშვილის ქუჩაზე, 9 აპრილის ქუჩაზე მე-3 შესახვევში, ნინოშვილის ქუჩაზე, ლერმონტოვის ქუჩაზე, დუმბაძის ქუჩაზე, ბარათაშვილის ქუჩაზე, ჭონქაძის ქუჩაზე, გურიელის ქუჩაზე, ბესიკის ქუჩაზე, გამსახურდიას ქუჩაზე, 9 მარტის ქუჩაზე და შანიძის ქუჩაზე გზების რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით, ასევე რუსთავის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „ჯ და ჯ“<br>ს/კ: 221269080 | **616 999. 64** | პროექტის განხორციელება დაიწყო 2025 წელს და დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. |
| **2** | "მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, ქალაქ წყალტუბოში, თბილისის ქუჩაზე, ბარნოვის ქუჩაზე, დადიანის ქუჩაზე, კლდიაშვილის ქუჩაზე, ჭაბუკიანის ქუჩაზე, თაყაიშვილის ქუჩაზე, კოლხეთის ქუჩაზე, ერისთავის ქუჩაზე, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, მირიან მეფის ქუჩაზე, გელათის ქუჩაზე და ჩოლოყაშვილი ქუჩაზე გზების ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაცია | შპს „ჯ და ჯ“<br>ს/კ: 221269080 | **287 998. 64** | პროექტის განხორციელება დაიწყო 2025 წელს და დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. |
| | **სულ ჯამი :** | | **904 998,28** | |

***დ) „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“*** საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივლისის №1098 განკარგულების, ასევე საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 და 2025 წლის 10 დეკემბრის №2075 განკარგულებების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის საჯარო სკოლების



საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72; ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხორციელების მიზნით დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ჯამში 7 (შვიდი) ხელშეკრულება, რომელთა ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა - **825737,80** (რვაას ოცდახუთი ათას შვიდას ოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს შემდეგ პროექტებს:

| № | პროექტის დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში N1 საჯარო სკოლის, სოფელ მუხიანის N1 საჯარო სკოლის და სოფელ მუხიანის საჯარო სკოლის (უკანეთის დაწყებითი კორპუსი) სარემონტო სამუშაოების, ასევე სოფელ გეგუთის ვარციხჰესის საჯარო სკოლაში მცირე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები | შპს „ჯეოტექნიქსი“ ს/კ: 412748898 | 97093. 29 | დასრულებულია |
| 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, ვარციხჰესის დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები | შპს" სანდომშენი" ს/კ: 425057591 | 165476. 49 | დასრულებულია |
| 3 | სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურის N2 საჯარო სკოლის კედლისა და საძირკვლის გამაგრების სამუშაოები | შპს „ჯეოტექნიქსი“ ს/კ: 412748898 | 39325. 36 | დასრულებულია |
| 4 | სსიპ თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის ბიოტალის სისტემაზე დამონტაჟებული სპეციალური გამწმენდი აგრეგატის აღდგენის სამუშაოები | შპს „ჰიდრო გრუპი" ს/კ: 405346558 | 4100. 00 | დასრულებულია |
| 5 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლის, სოფელ გეგუთის N2 საჯარო სკოლის, სოფელ გვიშტიბის საჯარო სკოლის, სოფელ სორმონის საჯარო სკოლისა და სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლასთან არსებული მეორე უბნის დაწყებითი სკოლის სარემონტო სამუშაოები | ი. მ. "რუბენ ლუტიძე" ს/კ: 18001005849 | 163114. 66 | დასრულებულია |
| 6 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 66628. 00 | პროექტის განხორციელება დაიწყო - 2025 წელს, სამუშაოები დასრულებულია საკასოთი - 2026 წელს. |
| | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე გვიშტიბის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოებისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში მდებარე ბანოჯის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობისა და სარემონტო სამუშაოები | შპს ჯეოტექნიქსი ს/კ: 412748898 | 290000. 00 | **მრავალწლიანი შესყიდვა:** პროექტის განხორციელება დაიწყო - 2025 წელს, სამუშაოები დასრულებულია საკასოთი - 2026 წელს. |
| | **სულ ჯამი :** | | **825 737,80** | |

***ე) მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პროექტები.***

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მარტის №517 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 1-ლი მაისის N730 განკარგულების გათვალისწინებით, 2025-2026 წლების მრავალწლიანი პროექტის განსახორციელებლად, პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში 2025 წელს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა ჯამურად განისაზღვრა 232 643,00 ლარის ოდენობით, მათ შორის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან **წყალტუბოს მუნიციპალიტეტს 2025 წლის დაფინანსების ფარგლებში გამოეყო 221 010,00 ლარი:**

| N | პროექტის დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საჩხეურისა და დღნორისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „გი-ან 2011" ს/კ: 412676322 | 1 429 844,00 | **პროექტი არის მრავალწლიანი.** დაიწყო - 2025 წელს და დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. 2025 წლის დაფინანსების წილი: სახელმწიფო ბიუჯეტი - 221 010 (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის სახსრები), ადგილობრივი ბიუჯეტი - 11 633 ლარი; 2026 წლის დაფინანსების წილი : სახელმწიფო ბიუჯეტი - 900 000 ლარი (რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრები), ადგილობრივი ბიუჯეტი - 47 368 ლარი. შენიშვნა: თანხის დარჩენილი ნაწილი გამოყოფა მიმდინარე წელს, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ან/და თანადაფინანსება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან |

***ვ) საჯარო სკოლების მოსწავლეების გადაყვანის (სატრანსპორტო მომსახურების) უზრუნველყოფის პროექტი.***

**„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის №146 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების მოსწავლეების გადაყვანის (სატრანსპორტო მომსახურების) უზრუნველყოფის პროექტი, სახელშეკრულებო ღირებულებით - 385361,16 ლარი (CON240000391 კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად, დადებულია 2024 წლის 17 დეკემბრის №4-2025 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, მიმწოდებელი - შპს „ნიში". აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, ფაქტობრივად გაწეული სატრანსპორტო მომსახურების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 384485,19 ლარი).**

***ზ) ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პროექტები.***

**2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები (მათ შორის 12 პროექტზე მიმდინარეობს დასრულების სამუშაოები, ხოლო 2 პროექტი არის მრავალწლიანი და ხორციელდება 2025-2026 წლების დაფინანსების ფარგლებში):**

| | პროექტების დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა | ადგილობრივი დასაქმებული |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციისა და შიდა მცირე სარემონტო სამუშაოები | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 82799.30 | დასრულებულია | 6 |
| 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მომსახურების შესყიდვა | შპს "ასა მოტორსი" ს/კ: 412743731 | 199999.77 | დასრულებულია | 7 |
| 3 | დეკორატიული ქვის საზურგიანი სკამების, დეკორატიული ქვის უსაზურგო სკამების, დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდების, დეკორატიული ქვის მრგვალი საყვავილეების და დეკორატიული ქვის ურნების შესყიდვა თანმდევი მიწოდებისა და მონტაჟის მომსახურებით | შპს "გეოლოდი" ს/კ: 445388161 | 149910.00 | დასრულებულია | 0 |
| 4 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალი შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები | შპს "ჯ და ჯ" ს/კ: 221269080 | 300000.00 | დასრულებულია | 8 |
| 5 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ქვილიშორში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები | შპს "ლომსია 2023" ს/კ: 424086134 | 767837.43 | დასრულებულია | 10 |
| 6 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი შვიდი ოჯახისათვის კერძო ტიპიური საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოები | შპს „სანი 2020" ს/კ: 439869297 | 358562.41 | დასრულებულია | 12 |
| | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | ქალაქ წყალტუბოში, დედა ენის ქუჩის N1 მრავალსართულიანი ბინის მე-3 სადარბაზოს, დედა ენის 1-ლი ჩიხის N3 მრავალსართულიანი ბინის 1-ლი და მე-2 სადარბაზოების, ჭავჭავაძის ქუჩის N11 მრავალსართულიანი ბინის 1-ლი სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, ასევე შანიძის ქუჩის N9 მრავალსართულიანი ბინის 1-ლი და მე-2 სადარბაზოებში ლითონის კარებების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა | შპს "სანი"<br>ს/კ: 421279020 | 59399.55 | დასრულებულია | 11 |
| 8 | ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩის N8 მრავალსართულიანი ბინის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სადარბაზოების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა | შპს "სანი"<br>ს/კ: 421279020 | 69856.23 | დასრულებულია | 7 |
| 9 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მომსახურების შესყიდვა. | შპს "ასა მოტორსი"<br>ს/კ: 412743731 | 169974.74 | დასრულებულია | 7 |
| 10 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: კერძოდ გეგუთში, ზარათში, მაღლაკში მე-10 ქუჩის 1-ელ და მე-2 ჩიხებში, მე-15, მე-18, მე-19 და 42-ე ქუჩებზე, ქვილიშორში ცენტრალური გზის, ქვიტირში მე-19 ქუჩაზე, სოფელ ცხუნკურში, ასევე ქალაქ წყალტუბოში აფხაზეთის, ბარათაშვილის, ჩახრუხაძის და ხანძთელის ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“<br>ს/კ: 412679061 | 2950000.00 | დასრულებულია | 24 |
| 11 | ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალურ პარკის ტერიტორიაზე ჟორჟ ბალანჩინისა და შალვა ნუცუბიძის მემორიალური ბიუსტებისა და კვარცხლბეკის მოწყობის, ასევე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები | ინდივიდუალური მეწარმე "ირაკლი ჟვანია"<br>ს/კ: 01018003522 | 151999.22 | დასრულებულია | 3 |
| | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | ქალაქ წყალტუბოში, თბილისის ქუჩა №5 საერთო საცხოვრებელი ბინის სახურავის და ჩახრუხაძის ქუჩა №6 საერთო საცხოვრებელი ბინის სახურავის, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში №1 ქუჩაზე №40 საერთო საცხოვრებელი ბინის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა | შპს „მათე 2012“ ს/კ: 435428789 | 111486.50 | დასრულებულია | 5 |
| 13 | ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა №17 მრავალსართულიანი ბინის III სადარბაზოს შეკეთების, თამარ მეფის ქუჩა №17 მრავალსართულიანი ბინის IV სადარბაზოს შეკეთების, დედა ენის ქუჩა №20 მრავალსართულიანი ბინის I სადარბაზოს შეკეთების, დედა ენის ქუჩა №20 მრავალსართულიანი ბინის II სადარბაზოს შეკეთების, დედა ენის ქუჩა №20 მრავალსართულიანი ბინის III სადარბაზოს შეკეთების, დედა ენის ქუჩა №20 მრავალსართულიანი ბინის IV სადარბაზოს შეკეთების, ასევე გ. ტაბიძის ქუჩა №11 მრავალსართულიანი ბინის I სადარბაზოს შეკეთების სამუშაოების შესყიდვა. | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 97586.64 | დასრულებულია | 11 |
| 14 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ სოფელ მუხიანში (ბროწეულას დასახლება) და სოფელ ზედა მესხეთში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობის სამუშაოები | შპს „ტატამი 777“ ს/კ: 412770924 | 44198.69 | დასრულებულია | 3 |
| 15 | ქალაქ წყალტუბოში და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები | შპს „გჯ2019“ ს/კ: 435434790 | 134947.15 | დასრულებულია | 5 |
| 16 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალი შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები. | შპს "ჯ და ჯ" ს/კ: 221269080 | 150000.00 | დასრულებულია | 12 |
| | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17 | ქალაქ წყალტუბოში ბესიკის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციის, სოფელ რიონში სპორტული მოედნის მოწყობის, ასევე სოფელ გუმბრაში მინი სპორტული მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა-რეაბილიტაცია | შპს „მიკო ბილდინგი" ს/კ: 412746710 | 287530.87 | დასრულებულია | 14 |
| 18 | ქალაქ წყალტუბოში, შანიძის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციის, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში და სოფელ ზედა მესხეთში სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები | შპს "იურო" ს/კ: 444961016 | 330999.99 | დასრულებულია | 16 |
| 19 | ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში და სოფელ გუმბრაში სპორტული მოედნების რეაბილიტაციის, ასევე სოფელ უკანეთში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები | შპს "იურო" ს/კ: 444961016 | 389897.62 | მიმდინარეობს | 16 |
| 20 | გუმბრის ადმინისტრაციული ერთეულის შენობისთვის (შენობის პირველ სართულზე განთავსებულია საბავშვო ბაღი) კიბის საფეხურების (მოზაიკა, სულ 20 საფეხური) შესყიდვა თანმდევი მონტაჟის მომსახურებით | შპს „მიკო ბილდინგი" ს/კ: 412746710 | 4900.00 | დასრულებულია | 3 |
| 21 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და 2 სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მომსახურების შესყიდვა. | შპს "ასა მოტორსი" ს/კ: 412743731 | 288000.00 | დასრულებულია | 6 |
| 22 | ქალაქ წყალტუბოში, მუსიკალური სკოლის შენობისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიის კლუბის სარეაბილიტაციო სამუშაოები | შპს „იდეალშენი" ს/კ: 415105380 | 1117602.00 | მიმდინარეობს | 16 |
| | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში და სოფელ წყალტუბოში, ასევე ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩაზე (აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებაში), ბესიკის ქუჩაზე, დავით კლდიაშვილის ქუჩაზე, დედა ენის ქუჩის №20-ის მიმდებარედ, ნიკოლაძის ქუჩაზე და 9 აპრილის 1-ელ შესახვევში სანიაღვრე სისტემების და არხების მოწყობის სამუშაოები | შპს „როსტვერკი“ ს/კ: 421268050 | 499999.48 | მიმდინარეობს | 20 |
| 24 | ქალაქ წყალტუბოში, ხანძთელის ქუჩის გაგრძელებაზე და დედა ენის ქუჩის მე-5 ჩიხში საბავშვო ატრაქციონების მოწყობის სამუშაოების, 9 აპრილის (დევნილთა დასახლება) ქუჩაზე, შანიძის ქუჩაზე და დედა ენის ქუჩაზე სკვერების მოწყობის სამუშაოების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში და სოფელ ოფშკვითში სკვერების მოწყობის სამუშაოებისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 463874.98 | მიმდინარეობს | 18 |
| 25 | ქალაქ წყალტუბოში თამარ მეფის ქუჩაზე, ასევე სოფელ ფარცხანაყანევში და მუხიანში სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 239400.00 | მიმდინარეობს | 15 |
| 26 | ქალაქ წყალტუბოში, გ. ტაბიძის ქუჩა №3ა საცხოვრებელი ბინის I სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, გ. ტაბიძის ქუჩა №5 საცხოვრებელი ბინის III სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, გ. ტაბიძის ქუჩა №5 საცხოვრებელი ბინის I სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა №9 საცხოვრებელი ბინის I სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა №9 საცხოვრებელი ბინის II სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 77096.85 | მიმდინარეობს | 15 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 27 | ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა №16-ის 1-ლი სადარბაზოს ფასადის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა №16-ის მე-2 სადარბაზოს ფასადის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, მეურნეობის დასახლებაში, გ. ტაბიძის ქუჩაზე №72 მრავალსართულიანი ბინის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, თბილისი ქუჩა №5 მრავალსართულიანი ბინის შიდა ეზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში 25-ე ქუჩაზე ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 127109.50 | მიმდინარეობს | 15 |
| 28 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: ტყაჩირში, ოფურჩხეთში, ზედა მესხეთში, ასევე ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩაზე გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები | შპს ნათება 7777 ს/კ: 435438616 | 14499.20 | დასრულებულია | 6 |
| 29 | ქალაქ წყალტუბოში, გურამიშვილის ქუჩის №4 საერთო საცხოვრებელი ბინის III სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, გურამიშვილის ქუჩის №6ა საერთო საცხოვრებელი ბინის სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქუჩის №8ა საერთო საცხოვრებელი ბინის I სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქუჩის №11 საერთო საცხოვრებელი ბინის I სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა №6 საცხოვრებელი ბინის II სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა №6 საცხოვრებელი ბინის III სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა №6 საცხოვრებელი | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 135637.15 | მიმდინარეობს | 17 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ბინის IV სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. | | | | |
| 30 | ქალაქ წყალტუბოში, გურამიშვილის ქუჩა №4 საცხოვრებელი ბინის I და II სადარბაზოების სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, გურამიშვილის ქუჩა №4 საცხოვრებელი ბინის IV სადარბაზოს სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა №19 საცხოვრებელი ბინის V სადარბაზოს სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, დედა-ენის ქუჩის პირველი ჩიხის №6 ბინის სახურავის მოწყობის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის №12 საერთო საცხოვრებელი ბინის 1-ლი სადარბაზოს სახურავის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის №12 საერთო საცხოვრებელი ბინის მე-2 სადარბაზოს (ნაწილის) სახურავის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში (ჩაის ფაბრიკის დასახლებაში) I კორპუსის სახურავის მოწყობის სამუშაოების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში, კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში №5 საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩა №7 მრავალსართულიანი ბინის I სადარბაზოს შეკეთების სამუშაოების შესყიდვა. | შპს მათე 2012<br>ს/კ: 435428789 | 179093.39 | დასრულებულია | 14 |
| 31 | ქალაქ წყალტუბოში, ევდოშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა | შპს „მიკო ბილდინგი“<br>ს/კ: 412746710 | 53224.99 | დასრულებულია | 5 |
| 32 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში კერძოდ: ყუმისთავში და გუმბრაში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია | შპს „ქუთაისწყალმშენი“<br>ს/კ: 412676518 | 94945.10 | მიმდინარეობს | 8 |
| | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 33 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალი შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები | შპს "როსტვერკი" ს/კ: 421268050 | 130000.00 | მიმდინარეობს | 12 |
| 34 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მომსახურება. | შპს "ასა მოტორსი" ს/კ: 412743731 | 333151.00 | დასრულებულია | 6 |
| 35 | ქალაქ წყალტუბოში, გ. ტაბიძის ქუჩა №9 საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა №5 საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების და ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქუჩა №3 საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. | შპს "სარგებელი 2022" ს/კ: 406351996 | 110999.76 | მიმდინარეობს | 10 |
| 36 | ქალაქ წყალტუბოში, გურამიშვილის ქუჩა №4 ბინის მე-3 სადარბაზოს სახურავისა და ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა №11 ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. | შპს „ბებერო" ს/კ: 434067662 | 99293.26 | მიმდინარეობს | 8 |
| | **სულ ჯამი :** | | **10 775 812.77** | | |

***თ) 2025 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო პროექტები:***

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის 20 სექტემბერს მომხდარი ძლიერი სტიქიური მოვლენის - ძლიერი ქარისა და წვიმის შედეგად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსება განისაზღვრა - **39 058,00** ლარის ოდენობით (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 22 სექტემბრის №ბ48.48252652 ბრძანება) და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩატარების მიზნით, განხორციელდა შემდეგი პროექტი (თავდაპირველი სახელშეკრულებო ღირებულება - 39 036,39 ლარი, ხოლო საბოლოო კორექტირების შედეგად განსაზღვრული სახელშეკრულებო ღირებულება - 29 322,15 ლარი).

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72; ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

| N | პროექტების დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2025 წლის 20 სექტემბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი და წვიმა) შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდებარე 3 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები, შემდეგ ლოკაციებზე: ქალაქი წყალტუბო, აკ. შანიძის ქუჩა ბინა №4; სოფელი ფარცხანაყანევის კოპიტნარის დევნილთა დასახლება ბინა №9 და ქალაქი წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩის პირველი შესახვევი ბინა №1 | შპს "სანი"<br><br>ს/კ: 421279020 | 29 322,15 | დასრულებულია საკასოთი<br><br>27 126,25 ლარი |

2025 წლის განმავლობაში მიმწოდებლებთან დადგენილი წესით დადებული ყველა სახის **241** სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების საერთო (ჯამურმა) ღირებულებამ შეადგინა **31120649.36** (ოცდათერთმეტი მილიონ ასოცი ათას ექვსას ორმოცდაცხრა ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი, მათ შორის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში (მათ შორის ორეტაპიან ელექტრონულ ტენდერშიც) გამარჯვებულ მიმწოდებლებთან 2025 წლის განმავლობაში დადებული 78 ხელშეკრულების საერთო (ჯამური) ღირებულებაა - **28460684.88** (ოცდარვა მილიონ ოთხას სამოცი ათას ექვსას ოთხმოცდაოთხი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარი, კონსოლიდირებული ტენდერების შედეგად დადებული 24 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **642855.32** (ექვსას ორმოცდაორი ათას რვაას ორმოცდათხუთმეტი ლარი და ოცდათორმეტი თეთრი) ლარი, კონკურსის შედეგად დადებული 1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **9440.00** (ცხრა ათას ოთხას ორმოცი) ლარი და გამარტივებული შესყიდვების საშუალებით დადებული 138 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **2007669.16** (ორი მილიონ შვიდი ათას ექვსას სამოცდაცხრა ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარი (იხ. დანართი - 2025 წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების „Excel"-ის ცხრილი).

2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით სულ გამოცხადებულია **88** ელექტრონული შესყიდვის პროცედურა, მათ შორის **86** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT), **1** - კონკურსი (CNT) და **1** - ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი (MEP). აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეთა რაოდენობა უმეტესწილად შეადგენს 2 ან 3 პრეტენდენტს, რაც კონკურენტული გარემოს მაჩვენებელია.

2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ სულ განხილულია **264** საკითხი, **87** ელექტრონულ შესყიდვაზე განხორციელებულია შესაბამისი პროცედურები (სატენდერო/საკონკურსო პირობების შედგენა/დამტკიცება, ტენდერის/კონკურსის გამოცხადება, შერჩევა - შეფასება, გამარჯვებულის გამოვლენა, ხელშეკრულების დასადებად მოწვევა და სხვა), ამავე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია სათანადო დოკუმენტაცია (ჯამში ათასობით ნაბეჭდი ფურცლის დასკანერებული და დაფორმატებული (pdf/xlsx)) ასლები: ხელწერილები ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტები, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, მათში ცვლილების შეტანის თაობაზე მხარეებს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმებები და ხელშეკრულებების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები, შესრულებული სამუშაოების აქტები, საექსპერტო/აუდიტორული დასკვნები, ინსპექტირების ანგარიშები, ფაქტობრივი გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა).

2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, ყოველი შესყიდვის პროცედურის დაწყებამდე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები შესყიდვის კონკრეტული ობიექტების მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების, ბაზრის კვლევის, პოტენციური მომწოდებლების მოძიების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72; ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს [illegible] იქნა სატენდერო დოკუმენტაციის სტანდარტული სარეკომენდაციო პროექტები, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სრულად ხელმძღვანელობს აღნიშნული რეკომენდაციებით, აგრეთვე, კონკრეტული ტენდერის/კონკურსის გამოცხადებამდე, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს შეთანხმებისათვის წინასწარ ეგზავნება თითოეული ელექტრონული შესყიდვის სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაცია, მათ შორის - ტექნიკური მოთხოვნები და ხელშეკრულების პროექტი (დანართებთან ერთად).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №1 დადგენილებით ცვლილება შევიდა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №36 დადგენილებაში და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ხარჯებში გაიწერა 2025 წლიდან გარდამავალი ვალდებულებები, რომელთა შესაბამისი შესყიდვები ან/და თანხის ანაზღაურება განხორციელდება 2026 წელს. აღნიშნულის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში განხორციელდა შესაბამისი კორექტირება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ყველა შესყიდვა განხორციელებულია დადგენილი წესების, პროცედურებისა და ვადების დაცვით, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი შემდეგი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებები და განკარგულებები, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები, აგრეთვე სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები (სახელმწიფო შესყიდვების წესებსა და პროცედურებს არეგულირებს 30-ზე მეტი სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ასევე სხვადასხვა მეთოდური მითითებები).

**დანართი:** 2025 წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების **„Excel“-ის** ცხრილი.

**პატივისცემით,**

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

| ხელშ. № | შესყიდვის ობიექტი | შესყიდვის ტიპი | CMR/NAT/CON | შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | ხელშეკრულების ღირებულება | ეკონომია | საკასო შესრულება | საგარანტიო თანხა 2.5% | მიმწოდებლის დასახელება | მიწოდების ვადა | ხელშეკრულების მოქმედების ვადა | CPV კოდი | ხელშეკრულების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საარქივო მომსახურების შესყიდვა | გამარტივებული შესყიდვა | CMR240162428 | - | 4412.00 | - | 4412.00 | - | სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი | 01.01.2025 - 31.12.2025 | 01.01.2025 - 31.01.2026 | 79995100 | შესრულებული ხელშეკრულება |
| 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის საფოსტო-საკურიერო მომსახურების შესყიდვა | ელექტრონული ტენდერი | NAT240023430 | 13248.00 | 13248.00 | 0.00 | 6115.35 | - | შპს "საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები | 01.01.2025 - 31.12.2025 | 01.01.2025 - 31.01.2026 | 64100000 64110000 64120000 | შესრულებული ხელშეკრულება |
| 3 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კუთვნილი სამსახურეობრივი ავტომანქანების ტექნიკური შემოწმების/ტესტირების მომსახურების შესყიდვა (დანართის შესაბამისად). მომსახურება უნდა განხორციელდეს ტექნიკური ინსპექტირების სფეროში მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად | გამარტივებული შესყიდვა | CMR240171028 | - | 120.00 | - | 60.00 | - | შპს ქეიქტექი (405239503) | 01.01.2025 - 31.12.2025 | 16.12.2024 - 28.02.2026 | 71630000 | შესრულებული ხელშეკრულება |
| 4 | მოსწავლეთა ტრანსპორტირება | კონსოლიდირებული ტენდერი | CON240000391 | - | 385361.16 | - | 384485.19 | - | შპს "ნიმი" | 01.01.2025 - 31.12.2025 | 17.12.2024 - 31.01.2026 | 60100000 | შესრულებული ხელშეკრულება |
| 5 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციული შენობების (უძრავი და მოძრავი ქონების) დაცვის მომსახურების შესყიდვა | ელექტრონული ტენდერი | NAT240023926 | 50400.00 | 50400.00 | 0.00 | 50400.00 | - | შპს „ვიქტორია სექიურითი" | 01.01.2025 - 31.12.2025 | 01.01.2025 - 31.01.2026 | 79700000 79713000 | შესრულებული ხელშეკრულება |
| 6 | სატრანსპორტო საშუალებებისათვის სადაზღვევო მომსახურება | კონსოლიდირებული ტენდერი | CON240000435 | - | 9448.03 | - | 9448.03 | - | სს „სადაზღვევო კომპანია ალფა" | 01.01.2025 - 31.12.2025 | 20.12.2024 - 30.04.2026 | 66500000 66514110 | შესრულებული ხელშეკრულება |

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
გენადი ბალანჩივაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ
2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად
განხორციელებული შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და წარდგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტის „გ.ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წელს განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შემუშავდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის" მე-4 მუხლისა და 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის" შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შედგენისას, ერთიანი სისტემატიზებული ფორმით შეგროვდა და გაანალიზდა ინფორმაცია დაგეგმილი და წარმოებული სახელმწიფო შესყიდვების, არსებული და შესაძლო შესყიდვის ობიექტების პოტენციური მომწოდებლებისა და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ორგანიზაციების, მათ მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 20 ნოემბრის №ბ48.482432513 ბრძანებით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების შესაბამისად, 2025 წლის დასაწყისისათვის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იქნა **5 508 154.60** ლარის საერთო (ჯამური) ღირებულების სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განხორციელება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის" მე-4 მუხლის მე-3$^1$ პუნქტის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში, ამჟამინდელი მდგომარეობით, 59-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები. სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად, 2025 წლის დასაწყისისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული შესყიდვების საერთო (ჯამური) ღირებულება გაიზარდა და 2025 წლის საბიუჯეტო წლის დასრულებისათვის საერთო (ჯამური) ღირებულებით შეადგინა - **31 222 246,67** ლარი (**შენიშვნა:** 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის საბოლოო კორექტირება/ცვლილება განხორციელდება საკასო შესრულების გათვალისწინებით, არაუგვიანეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველი კვარტლის დასრულებისა).

***ა) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე მრავალწლიანი პროექტები.***

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებით, დამტკიცებული იქნა 2025 წელს მუნიციპალიტეტებში, მათ შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები (საწყის ეტაპზე - სულ 15 პროექტი, აქედან 2024 წელს დაწყებული და 2025 წელს გარდამავალი 7 პროექტი, ხოლო 2025-2026-2027 წლებში განსახორციელებელი 8 პროექტი). საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №1212 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებაში, რომლითაც დამტკიცებული იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დამატებით განსახორციელებელი პროექტები და ჯამურად მუნიციპალიტეტში განსახორციელებელმა პროექტების რაოდენობამ შეადგინა 17 პროექტი. აღნიშნული ჩვიდმეტი პროექტიდან თექვსმეტი პროექტი წარმოადგენს მრავალწლიან პროექტს, ხოლო ერთი პროექტი დაიწყო და დასრულდა საკასოთი 2025 წელს. ჯამში თექვსმეტი მრავალწლიანი პროექტიდან შვიდი მათგანი დაიწყო 2024 წელს და დასრულდება საკასოთი 2026 წელს, რვა პროექტი დაიწყო 2025 წელს და დასრულდა საკასოთი 2026 წელს, ხოლო ერთი პროექტი დაიწყო 2025 წელს, მიმდინარეობს და დასრულდება საკასოთი 2027 წელს. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 25 დეკემბრის №2210 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილ დაფინანსებაში შეტანილი ბოლო ცვლილების მიხედვით, პროექტების მთლიანი ღირებულების ფარგლებში 2025 წელს ასანაზღაურებელმა თანხებმა შეადგინა **14 791 843.00** ლარი, საიდანაც რ.გ.პ.ფ. - დან გამოყოფილი თანხა შეადგენს - **13 270 649.00** ლარი, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანამონაწილეობის თანხა - **1 521 194.00** ლარი.

საბოლოოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებების შესაბამისად, 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებულ იქნა შემდეგი პროექტები:

| № | პროექტების დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის ფარგლებში 2025 წელს ასანაზღაურებელი თანხები | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში (ქვედა ქვილიშორში) სასმელი წყლის ქსელისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია-მოწყობა | შპს „B&B" ს/კ: 404390039 | 1 970 884,70 | 964 732,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2024 წელს, დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. |
| 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 2 672 769,00 | 1 573 502,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2024 წელს, დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში აბდალაძე-ფხაკაძეების უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი" ს/კ: 412679061 | 1 244 018,00 | 1 079 772,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 4 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში (ძვ. საყულია) წისქვილის, მეკვერიების, ლომიძეებისა და კაშიას უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი" ს/კ: 412679061 | 500 877,00 | 378 796,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 5 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფურჩხეთში ახალი სასაფლაოს გზის, სოფელ ჯიმასტაროში მანაგაძეების, მელქაძეების, ტურაბელიძეებს უბნებში, ყოფილი სკოლის უკან, ჩაკვეტაძეებისა და ხელაიების უბნებში, სოფელ გუმათში ავალიანების, დაჩების, ველას უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი" ს/კ: 412679061 | 1 309 086.99 | 661 602,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 6 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში (მე-10 ქუჩაზე), ზედა ჩუნეშში ლორთქიფანიძე-თვალოძეების უბანში, სოფელ ყუმისთავში შალამბერიძეების უბანში და სოფელ ბანოჯაში 39-ე ქუჩაზე გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი" ს/კ: 412679061 | 1 654 578,00 | 1 542 497,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 7 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში იმერეთის საყრდენ პუნქტში (ეკომიგრანტთა დასახლება) და ჭელიძეების უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი" ს/კ: 412679061 | 1 013 682,00 | 901 602,00 | დასრულებულია საკასოთი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში 26-ე ქუჩასა და შიდა ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 730 321,00 | 730 320,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 9 | სოფელ გვიშტიბში ბენდელიანების, კირთაძეების და ნიჟარაძეების უბნებში, ასევე პირველ ქუჩაზე (მაღაზიის უკან), პირველ ჩიხში, ჩავჩიძეების უბანში და №17 ქუჩაზე გზების მოწყობა ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 542 878,00 | 542 877,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 10 | სოფელ თერნალში მე-15, მე-18, 21-ე ქუჩებზე და ჩაის ფაბრიკის დასახლებაში საერთო საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 363 308,00 | 363 307,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 11 | სოფელ ქვიტირში N4, N5, N10, N11, N22, N25 და პირველი ქუჩის მე-11, მე-13, მე-7 ჩიხების გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 1 444 266,00 | 1 343 213,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2025 წელს, დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. |
| 12 | სოფელ ქვედა მესხეთში ნარეშელაშვილების უბანში და სოფელ გეგუთში მეურნეობის დასახლებაში გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 544 850,00 | 544 849,00 | დასრულებულია საკასოთი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში ბაღათურიების უბანში, ასევე სვანიძეებისა და სილაგაძეების უბნების დამაკავშირებელი გზის და შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი" ს/კ: 412679061 | 694 951,00 | 694 950,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 14 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში №28 და №30 ქუჩების და სოფელ ქვილიშორში რუშავას უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი" ს/კ: 412679061 | 1 408 951,00 | 1 408 950,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 15 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში და ტყაჩირში შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი" ს/კ: 412679061 | 591 267,00 | 591 267,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 16 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მექვენაში (ზედა მექვენა) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „გი-ან 2011" ს/კ: 412676322 | 120 156,00 | 120 156,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 17 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში სალიის უბანში, გოცირიძეების უბანში და შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, სოფელ ფარცხანაყანევში კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები, სოფელ გეგუთში მეურნეობის დასახლებაში, სოფელ ოფშკვითში ბაბუნაშვილების უბანში, ბანძელაძეების უბანში (II უბანი ჩხობაძეების დამაკავშირებელი) გზის ბეტონის საფარით მოწყობა, ასევე სოფელ ბენთქოულაში, სოფელ ყუმისთავში ტუსკაძეების უბანში და სოფელ საყულიაში სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი" ს/კ: 412679061 | 6 369 080,00 | 1 350 001,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2025 წელს, დასრულდება საკასოთი - 2027 წელს. |
| | სულ : | | 23 175 923,69 | 14 791 843,00 | |

აქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რგპფ) დაფინანსებით პროექტების საერთო (ჯამური) ღირებულებად 2024-2025 წლების განკარგულებებით განისაზღვრა **14 791 843,00** ლარი, მათ შორის: აქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან – **13 270 649,00** ლარი, ხოლო ადგილობრივი იუჯეტის სახსრებით თანადაფინანსება (შევსება) – **1 521 194.00** ლარი. ზემოთ ჩამოთვლილი ჩვიდმეტი პროექტის ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა **23 175 923,69** ლარი, რაც შესაბამისად გაიწერა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024-2025-2026 წლების ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმებში.

***ბ) „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები.***

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტები (მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ჯამური თანხა - **704 000.00** ლარი):

| № | სოფელი | პროექტის დასახელება | საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა (ლარი) | შემსრულებელი ორგანიზაცია (შპს, ინდ.მეწარმე და სხვ.) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლები | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება | 14 520,00 | შპს „ვაზნარი“ ს/კ: 421272107 | **14 520,00** |
| 2 | სოფელ ზედა ჩუნეში | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა (გაღმა) ჩუნეშში ჭაბურღილის მოსაწყობად, ტერიტორიის გეოფიზიკური-ჰიდროგეოლოგიური მონაცემების დადგენის და ნიადაგის ფენებს შორის საჭირო წყლის დონის განსაზღვრისთვის შესაბამისი დასკვნის მომზადება | 800,00 | ინდ. მეწარმე „ავთანდილ ლანჩავა“ ს/კ: 21001035987 | **800,00** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | ზედა მესხეთი, მეჩხერი, ყუმისთავი, ჩუნეში | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის: ზედა მესხეთი, მეჩხერი, ყუმისთავი, ჩუნეში, სხვადასხვა სამშენებლო მასალების შესყიდვა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით | 38 000,00 | ინდ. მეწარმე „აკაკი რობაქიძე“ ს/კ: 53001014418 | **39 000,00** |
| 4 | ქვედა მესხეთი, ცხუნკური, ჭაშლეთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის: ქვედა მესხეთი, ცხუნკური, ჭაშლეთი, სხვადასხვა სამშენებლო მასალების შესყიდვა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით | 29 500,00 | ინდ. მეწარმე „აკაკი რობაქიძე“ ს/კ: 53001014418 | **34 500,00** |
| 5 | ქვიტირი, პირველი წყალტუბო, ოფურჩხეთი, გუმათი, ნამოხვანი, ჯიმასტარო, ქონეთი, ბენთქოულა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (ქვიტირი, პირველი წყალტუბო, ოფურჩხეთი, გუმათი, ნამოხვანი, ჯიმასტარო, ქონეთი, ბენთქოულა) ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა | 92 000,00 | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | **92 000,00** |
| 6 | ბანოჯა, ხომული, რიონი, ზარათი, სორმონი, ქვილიშორი, ცხუნკური, ყუმისთავი | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (ბანოჯა, ხომული, რიონი, ზარათი, სორმონი, ქვილიშორი, ცხუნკური, ყუმისთავი) ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა | 114 500,00 | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | **114 500,00** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | მაღლაკი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, ლექვინაძეებისა და ღაჭავების უბანში სპორტული მოედნის შემოღობვის სამუშაოები | 18 800,00 | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | **38 276.41** |
| 8 | სოფელი წყალტუბო, ჩუნეში | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში ადმინისტრაციული შენობის გამაგრება და ფასადის შელესვა, ასევე სოფელ ჩუნეშში სოფლის სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები | 34 920,00 | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | **34 920,00** |
| 9 | გუბილწყალი, მიწაწითელი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი გუბისწყლის ტაძრის ეზოს მოპირკეთების სამუშაოები, ასევე სოფელ მიწაწითელში სპორტული მოედნის შემოღობვის სამუშაოები | 26 800,00 | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | **38 796.49** |
| 10 | ახალი საყულია | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ საყულიაში (სვანების დასახლებაში სკვერის ტერიტორიაზე) არსებული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები | 9 700,00 | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | **9 700,00** |
| 11 | ვანისჭალა, დღნორისა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვანისჭალაში და სოფელ დღნორისაში ფანჩატურების მოწყობის სამუშაოები | 20 980,00 | შპს „ლომსია 2023" ს/კ: 424086134 | **32 980,00** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | დერჩი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ დერჩში წყალშემკრები აუზის მოწყობის სამუშაოები | 29 100,00 | შპს „ლომსია 2023“ ს/კ: 424086134 | 29 100,00 |
| 13 | ლეხინდრისთავი, მექვენა, საჩხეური | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ ლეხიდრისთავში, მექვენაში და საჩხეურში სოფლის შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების სამუშაოები | 29 100,00 | შპს „ასა მოტორსი“ ს/კ: 412743731 | 29 100,00 |
| 14 | ტყაჩირი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში აბრების დამზადება და მონტაჟი ("მე მიყვარს ტყაჩირი") და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები | 19 400,00 | ინდ. მეწარმე „ზესიკი ერისთავი“ ს/კ: 60001127830 | 19 400,00 |
| 15 | გუმბრა, პატრიკეთი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში და სოფელ პატრიკეთში სკვერების მოწყობის სამუშაოები | 38 200,00 | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 58 200,00 |
| 16 | გეგუთი, გვიშტიბი, სოფელი თერნალი, მუხიანი, უკანეთი, ოფშკვითი, ქვედა მესხეთი, საყულია, ფარცხანაყანევი, გუმათი, ქვიტირი, ნოღა, ჭოლევი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ გეგუთში, გვიშტიბში, სოფელ თერნალში, მუხიანში, უკანეთში, ოფშკვითში, ქვედა მესხეთში, საყულიაში, ფარცხანაყანევში, გუმათში, ქვიტირში, ნოღაში და ჭოლევში გარე განათების მოწყობის სამუშაოები | 178 480,00 | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 178 480,00 |
| 17 | ზედა ჩუნეში | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა გაღმა ჩუნეშში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები | 9 200,00 | ინდ. მეწარმე „მევლუდი ფანცხავა“ ს/კ: 60001061613 | 9 200,00 |

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა - **773 472,90** ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების წილი - **704 000,00** ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების წილი - **69 472,90** ლარი.

*გ) „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები.*

„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №1207 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტები (მთავრობის განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი ჯამური თანხა - **458 159,00** ლარი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის თანადაფინანსების წილი - **446 839,28** ლარი):

| № | პროექტის (იდეის) დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | "მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, ქალაქ წყალტუბოში, ახალგაზრდობის ქუჩაზე, ნუცუბიძის ქუჩაზე, დედა-ენის ქუჩაზე, გურამიშვილის ქუჩაზე, 9 აპრილის ქუჩაზე მე-3 შესახვევში, ნინოშვილის ქუჩაზე, ლერმონტოვის ქუჩაზე, დუმბაძის ქუჩაზე, ბარათაშვილის ქუჩაზე, ჟონქაძის ქუჩაზე, გურიელის ქუჩაზე, ბესიკის ქუჩაზე, გამსახურდიას ქუჩაზე, 9 მარტის ქუჩაზე და შანიძის ქუჩაზე გზების რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით, ასევე რუსთავის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „ჯ და ჯ“<br>ს/კ: 221269080 | **616 999.64** | პროექტის განხორციელება დაიწყო 2025 წელს და დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. |
| 2 | "მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, ქალაქ წყალტუბოში, თბილისის ქუჩაზე, ბარნოვის ქუჩაზე, დადიანის ქუჩაზე, კლდიაშვილის ქუჩაზე, ჭაბუკიანის ქუჩაზე, თაყაიშვილის ქუჩაზე, კოლხეთის ქუჩაზე, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, ერისთავის ქუჩაზე, მირიან მეფის ქუჩაზე, გელათის ქუჩაზე და ჩოლოყაშვილი ქუჩაზე გზების ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაცია | შპს „ჯ და ჯ“<br>ს/კ: 221269080 | **287 998.64** | პროექტის განხორციელება დაიწყო 2025 წელს და დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სულ ჯამი : | | 904 998,28 | |

დ) **„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“** საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივლისის №1098 განკარგულების, ასევე საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 და 2025 წლის 10 დეკემბრის №2075 განკარგულებების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხორციელების მიზნით დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ჯამში 7 (შვიდი) ხელშეკრულება, რომელთა ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა - **825737,80** (რვაას ოცდახუთი ათას შვიდას ოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს შემდეგ პროექტებს:

| № | პროექტის დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში N1 საჯარო სკოლის, სოფელ მუხიანის N1 საჯარო სკოლის და სოფელ მუხიანის საჯარო სკოლის (უკანეთის დაწყებითი კორპუსი) სარემონტო სამუშაოების, ასევე სოფელ გეგუთის ვარციხჰესის საჯარო სკოლაში მცირე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები | შპს „ჯეოტექნიქსი“ ს/კ: 412748898 | 97093.29 | დასრულებულია |
| 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, ვარციხჰესის დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები | შპს" სანდომშენი" ს/კ: 425057591 | 165476.49 | დასრულებულია |
| 3 | სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურის N2 საჯარო სკოლის კედლისა და საძირკვლის გამაგრების სამუშაოები | შპს „ჯეოტექნიქსი“ ს/კ: 412748898 | 39325.36 | დასრულებულია |
| 4 | სსიპ თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის ბიოტალის სისტემაზე დამონტაჟებული სპეციალური გამწმენდი აგრეგატის აღდგენის სამუშაოები | შპს „ჰიდრო გრუპი" ს/კ: 405346558 | 4100.00 | დასრულებულია |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლის, სოფელ გეგუთის N2 საჯარო სკოლის, სოფელ გვიშტიბის საჯარო სკოლის, სოფელ სორმონის საჯარო სკოლისა და სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლასთან არსებული მეორე უბნის დაწყებითი სკოლის სარემონტო სამუშაოები | ი.მ. "რუბენ ლუტიძე" ს/კ: 18001005849 | 163114.66 | დასრულებულია |
| 6 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 66628.00 | პროექტის განხორციელება დაიწყო - 2025 წელს, სამუშაოები დასრულებულია საკასოთი - 2026 წელს. |
| 7 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე გვიშტიბის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოებისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში მდებარე ბანოჯის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობისა და სარემონტო სამუშაოები | შპს ჯეოტექნიქსი ს/კ: 412748898 | 290000.00 | **მრავალწლიანი შესყიდვა:** პროექტის განხორციელება დაიწყო - 2025 წელს, სამუშაოები დასრულებულია საკასოთი - 2026 წელს. |
| | სულ ჯამი : | | 825 737,80 | |

*ე) მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პროექტები.*

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მარტის №517 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 1-ლი მაისის N730 განკარგულების გათვალისწინებით, 2025-2026 წლების მრავალწლიანი პროექტის განსახორციელებლად, პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში 2025 წელს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა ჯამურად განისაზღვრა 232 643,00 ლარის ოდენობით, მათ შორის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან **წყალტუბოს მუნიციპალიტეტს 2025 წლის დაფინანსების ფარგლებში გამოეყო 221 010,00 ლარი:**

| N | პროექტის დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საჩხეურისა და დღნორისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „გი-ან 2011" ს/კ: 412676322 | 1 429 844,00 | **პროექტი არის მრავალწლიანი.** დაიწყო - 2025 წელს და დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. 2025 წლის დაფინანსების წილი: სახელმწიფო ბიუჯეტი - 221 010 (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის სახსრები), ადგილობრივი ბიუჯეტი - 11 633 ლარი; 2026 წლის დაფინანსების წილი : სახელმწიფო ბიუჯეტი - 900 000 ლარი (რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრები), ადგილობრივი ბიუჯეტი - 47 368 ლარი. შენიშვნა: თანხის დარჩენილი ნაწილი გამოყოფა მიმდინარე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | წელს, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ან/და თანადაფინანსება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან |

*ვ) საჯარო სკოლების მოსწავლეების გადაყვანის (სატრანსპორტო მომსახურების) უზრუნველყოფის პროექტი.*

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის №146 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების მოსწავლეების გადაყვანის (სატრანსპორტო მომსახურების) უზრუნველყოფის პროექტი, სახელშეკრულებო ღირებულებით - 385361,16 ლარი (CON240000391 კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად, დადებულია 2024 წლის 17 დეკემბრის №4-2025 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, მიმწოდებელი - შპს „ნიში". აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, ფაქტობრივად გაწეული სატრანსპორტო მომსახურების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 384485,19 ლარი).

*ზ) ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პროექტები.*

2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები (მათ შორის 12 პროექტზე მიმდინარეობს დასრულების სამუშაოები, ხოლო 2 პროექტი არის მრავალწლიანი და ხორციელდება 2025-2026 წლების დაფინანსების ფარგლებში):

| | პროექტების დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა | ადგილობრივი დასაქმებული |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციისა და შიდა მცირე სარემონტო სამუშაოები | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 82799.30 | დასრულებულია | 6 |
| 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მომსახურების შესყიდვა | შპს "ასა მოტორსი" ს/კ: 412743731 | 199999.77 | დასრულებულია | 7 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | დეკორატიული ქვის საზურგიანი სკამების, დეკორატიული ქვის უსაზურგო სკამების, დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდების, დეკორატიული ქვის მრგვალი საყვავილეების და დეკორატიული ქვის ურნების შესყიდვა თანმდევი მიწოდებისა და მონტაჟის მომსახურებით | შპს "გეოლოდი" ს/კ: 445388161 | 149910.00 | დასრულებულია | 0 |
| 4 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალი შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები | შპს "ჯ და ჯ" ს/კ: 221269080 | 300000.00 | დასრულებულია | 8 |
| 5 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ქვილიშორში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები | შპს "ლომსია 2023" ს/კ: 424086134 | 767837.43 | დასრულებულია | 10 |
| 6 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი შვიდი ოჯახისათვის კერძო ტიპიური საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოები | შპს „სანი 2020“ ს/კ: 439869297 | 358562.41 | დასრულებულია | 12 |
| 7 | ქალაქ წყალტუბოში, დედა ენის ქუჩის N1 მრავალსართულიანი ბინის მე-3 სადარბაზოს, დედა ენის 1-ლი ჩიხის N3 მრავალსართულიანი ბინის 1-ლი და მე-2 სადარბაზოების, ჭავჭავაძის ქუჩის N11 მრავალსართულიანი ბინის 1-ლი სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, ასევე შანიძის ქუჩის N9 მრავალსართულიანი ბინის 1-ლი და მე-2 სადარბაზოებში ლითონის კარებების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 59399.55 | დასრულებულია | 11 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | ქალაქ წყალტუბოში, ზესიკის ქუჩის N8 მრავალსართულიანი ბინის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სადარბაზოების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 69856.23 | დასრულებულია | 7 |
| 9 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მომსახურების შესყიდვა. | შპს "ასა მოტორსი" ს/კ: 412743731 | 169974.74 | დასრულებულია | 7 |
| 10 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: კერძოდ გეგუთში, ზარათში, მაღლაკში მე-10 ქუჩის 1-ელ და მე-2 ჩიხებში, მე-15, მე-18, მე-19 და 42-ე ქუჩებზე, ქვილიშორში ცენტრალური გზის, ქვიტირში მე-19 ქუჩაზე, სოფელ ცხუნკურში, ასევე ქალაქ წყალტუბოში აფხაზეთის, ბარათაშვილის, ჩახრუხაძის და ხანძთელის ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი" ს/კ: 412679061 | 2950000.00 | დასრულებულია | 24 |
| 11 | ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალურ პარკის ტერიტორიაზე ჯორჯ ბალანჩინისა და შალვა ნუცუბიძის მემორიალური ბიუსტებისა და კვარცხლბეკის მოწყობის, ასევე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები | ინდივიდუალური მეწარმე "ირაკლი ქვანია" ს/კ: 01018003522 | 151999.22 | დასრულებულია | 3 |
| 12 | ქალაქ წყალტუბოში, თბილისის ქუჩა №5 საერთო საცხოვრებელი ბინის სახურავის და ჩახრუხაძის ქუჩა №6 საერთო საცხოვრებელი ბინის სახურავის, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში №1 ქუჩაზე №40 საერთო საცხოვრებელი ბინის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა | შპს „მათე 2012" ს/კ: 435428789 | 111486.50 | დასრულებულია | 5 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13 | ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა №17 მრავალსართულიანი ბინის III სადარბაზოს შეკეთების, თამარ მეფის ქუჩა №17 მრავალსართულიანი ბინის IV სადარბაზოს შეკეთების, დედა ენის ქუჩა №20 მრავალსართულიანი ბინის I სადარბაზოს შეკეთების, დედა ენის ქუჩა №20 მრავალსართულიანი ბინის II სადარბაზოს შეკეთების, დედა ენის ქუჩა №20 მრავალსართულიანი ბინის III სადარბაზოს შეკეთების, დედა ენის ქუჩა №20 მრავალსართულიანი ბინის IV სადარბაზოს შეკეთების, ასევე გ. ტაბიძის ქუჩა №11 მრავალსართულიანი ბინის I სადარბაზოს შეკეთების სამუშაოების შესყიდვა. | შპს "სანი"<br>ს/კ: 421279020 | 97586.64 | დასრულებულია | 11 |
| 14 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ სოფელ მუხიანში (ბროწეულას დასახლება) და სოფელ ზედა მესხეთში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობის სამუშაოები | შპს „ტატამი 777"<br>ს/კ: 412770924 | 44198.69 | დასრულებულია | 3 |
| 15 | ქალაქ წყალტუბოში და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები | შპს „გჯ2019"<br>ს/კ: 435434790 | 134947.15 | დასრულებულია | 5 |
| 16 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალი შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები. | შპს "ჯ და ჯ"<br>ს/კ: 221269080 | 150000.00 | დასრულებულია | 12 |
| 17 | ქალაქ წყალტუბოში ბესიკის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციის, სოფელ რიონში სპორტული მოედნის მოწყობის, ასევე სოფელ გუმბრაში მინი სპორტული მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა-რეაბილიტაცია | შპს „მიკო ბილდინგი"<br>ს/კ: 412746710 | 287530.87 | დასრულებულია | 14 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | ქალაქ წყალტუბოში, შანიძის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციის, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში და სოფელ ზედა მესხეთში სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები | შპს "იურო" ს/კ: 444961016 | 330999.99 | დასრულებულია | 16 |
| 19 | ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში და სოფელ გუმბრაში სპორტული მოედნების რეაბილიტაციის, ასევე სოფელ უკანეთში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები | შპს "იურო" ს/კ: 444961016 | 389897.62 | მიმდინარეობს | 16 |
| 20 | გუმბრის ადმინისტრაციული ერთეულის შენობისთვის (შენობის პირველ სართულზე განთავსებულია საბავშვო ბაღი) კიბის საფეხურების (მოზაიკა, სულ 20 საფეხური) შესყიდვა თანმდევი მონტაჟის მომსახურებით | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 4900.00 | დასრულებულია | 3 |
| 21 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და 2 სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მომსახურების შესყიდვა. | შპს "ასა მოტორსი" ს/კ: 412743731 | 288000.00 | დასრულებულია | 6 |
| 22 | ქალაქ წყალტუბოში, მუსიკალური სკოლის შენობისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიის კლუბის სარეაბილიტაციო სამუშაოები | შპს „იდეალმშენი“ ს/კ: 415105380 | 1117602.00 | მიმდინარეობს | 16 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში და სოფელ წყალტუბოში, ასევე ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩაზე (აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებაში), ზესიკის ქუჩაზე, დავით კლდიაშვილის ქუჩაზე, დედა ენის ქუჩის №20-ის მიმდებარედ, ნიკოლაძის ქუჩაზე და 9 აპრილის 1-ელ შესახვევში სანიაღვრე სისტემების და არხების მოწყობის სამუშაოები | შპს „როსტვერკი" ს/კ: 421268050 | 499999.48 | მიმდინარეობს | 20 |
| 24 | ქალაქ წყალტუბოში, ხანძთელის ქუჩის გაგრძელებაზე და დედა ენის ქუჩის მე-5 ჩიხში საბავშვო ატრაქციონების მოწყობის სამუშაოების, 9 აპრილის (დევნილთა დასახლება) ქუჩაზე, შანიძის ქუჩაზე და დედა ენის ქუჩაზე სკვერების მოწყობის სამუშაოების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში და სოფელ ოფშკვითში სკვერების მოწყობის სამუშაოებისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები | შპს „მიკო ბილდინგი" ს/კ: 412746710 | 463874.98 | მიმდინარეობს | 18 |
| 25 | ქალაქ წყალტუბოში თამარ მეფის ქუჩაზე, ასევე სოფელ ფარცხანაყანევში და მუხიანში სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიატაცია | შპს „მიკო ბილდინგი" ს/კ: 412746710 | 239400.00 | მიმდინარეობს | 15 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 26 | ქალაქ წყალტუბოში, გ. ტაბიძის ქუჩა №3ა საცხოვრებელი ბინის I სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, გ. ტაბიძის ქუჩა №5 საცხოვრებელი ბინის III სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, გ. ტაბიძის ქუჩა №5 საცხოვრებელი ბინის I სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა №9 საცხოვრებელი ბინის I სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა №9 საცხოვრებელი ბინის II სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 77096.85 | მიმდინარეობს | 15 |
| 27 | ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა №16-ის 1-ლი სადარბაზოს ფასადის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა №16-ის მე-2 სადარბაზოს ფასადის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, მეურნეობის დასახლებაში, გ. ტაბიძის ქუჩაზე №72 მრავალსართულიანი ბინის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, თბილისი ქუჩა №5 მრავალსართულიანი ბინის შიდა ეზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში 25-ე ქუჩაზე ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 127109.50 | მიმდინარეობს | 15 |
| 28 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: ტყაჩირში, ოფურჩხეთში, ზედა მესხეთში, ასევე ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩაზე გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები | შპს ნათება 7777 ს/კ: 435438616 | 14499.20 | დასრულებულია | 6 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **29** | ქალაქ წყალტუბოში, გურამიშვილის ქუჩის №4 საერთო საცხოვრებელი ბინის III სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, გურამიშვილის ქუჩის №6ა საერთო საცხოვრებელი ბინის სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქუჩის №8ა საერთო საცხოვრებელი ბინის I სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქუჩის №11 საერთო საცხოვრებელი ბინის I სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა №6 საცხოვრებელი ბინის II სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა №6 საცხოვრებელი ბინის III სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა №6 საცხოვრებელი ბინის IV სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. | შპს "სანი"<br>ს/კ: 421279020 | 135637.15 | მიმდინარეობს | **17** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 30 | ქალაქ წყალტუბოში, გურამიშვილის ქუჩა №4 საცხოვრებელი ბინის I და II სადარბაზოების სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, გურამიშვილის ქუჩა №4 საცხოვრებელი ბინის IV სადარბაზოს სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა №19 საცხოვრებელი ბინის V სადარბაზოს სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, დედა-ენის ქუჩის პირველი ჩიხის №6 ბინის სახურავის მოწყობის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის №12 საერთო საცხოვრებელი ბინის 1-ლი სადარბაზოს სახურავის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის №12 საერთო საცხოვრებელი ბინის მე-2 სადარბაზოს (ნაწილის) სახურავის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში (ჩაის ფაბრიკის დასახლებაში) I კორპუსის სახურავის მოწყობის სამუშაოების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში, კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში №5 საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩა №7 მრავალსართულიანი ბინის I სადარბაზოს შეკეთების სამუშაოების შესყიდვა. | შპს მათე 2012<br>ს/კ: 435428789 | 179093.39 | დასრულებულია | 14 |
| 31 | ქალაქ წყალტუბოში, ევდოშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა | შპს „მიკო ბილდინგი“<br>ს/კ: 412746710 | 53224.99 | დასრულებულია | 5 |
| 32 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში კერძოდ: ყუმისთავში და გუმბრაში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია | შპს „ქუთაისწყალმშენი“<br>ს/კ: 412676518 | 94945.10 | მიმდინარეობს | 8 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 33 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალი შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები | შპს "როსტვერკი" ს/კ: 421268050 | 130000.00 | მიმდინარეობს | 12 |
| 34 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მომსახურება. | შპს "ასა მოტორსი" ს/კ: 412743731 | 333151.00 | დასრულებულია | 6 |
| 35 | ქალაქ წყალტუბოში, გ. ტაბიძის ქუჩა №9 საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა №5 საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების და ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქუჩა №3 საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. | შპს "სარგებელი 2022" ს/კ: 406351996 | 110999.76 | მიმდინარეობს | 10 |
| 36 | ქალაქ წყალტუბოში, გურამიშვილის ქუჩა №4 ბინის მე-3 სადარბაზოს სახურავისა და ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა №11 ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. | შპს „ზებერო“ ს/კ: 434067662 | 99293.26 | მიმდინარეობს | 8 |
| | სულ ჯამი : | | 10 775 812.77 | | |

*თ) 2025 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო პროექტები:*

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის 20 სექტემბერს მომხდარი ძლიერი სტიქიური მოვლენის - ძლიერი ქარისა და წვიმის შედეგად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსება განისაზღვრა - **39 058,00** ლარის ოდენობით (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 22 სექტემბრის №ბ48.48252652 ბრძანება) და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩატარების მიზნით, განხორციელდა შემდეგი პროექტი (თავდაპირველი სახელშეკრულებო ღირებულება - 39 036,39 ლარი, ხოლო საბოლოო კორექტირების შედეგად განსაზღვრული სახელშეკრულებო ღირებულება - 29 322,15 ლარი).

| N | პროექტების დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2025 წლის 20 სექტემბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი და წვიმა) შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდებარე 3 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები, შემდეგ ლოკაციებზე: ქალაქი წყალტუბო, აკ. შანიძის ქუჩა ბინა №4; სოფელი ფარცხანაყანევის კოპიტნარის დევნილთა დასახლება ბინა №9 და ქალაქი წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩის პირველი შესახვევი ბინა №1 | შპს "სანი"<br><br>ს/კ: 421279020 | 29 322,15 | დასრულებულია საკასოთი 27 126,25 ლარი |

2025 წლის განმავლობაში მიმწოდებლებთან დადგენილი წესით დადებული ყველა სახის **241** სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების საერთო (ჯამურმა) ღირებულებამ შეადგინა **31120649.36** (ოცდათერთმეტი მილიონ ასოცი ათას ექვსას ორმოცდაცხრა ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი, მათ შორის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში (მათ შორის ორეტაპიან ელექტრონულ ტენდერშიც) გამარჯვებულ მიმწოდებლებთან 2025 წლის განმავლობაში დადებული 78 ხელშეკრულების საერთო (ჯამური) ღირებულებაა - **28460684.88** (ოცდარვა მილიონ ოთხას სამოცი ათას ექვსას ოთხმოცდაოთხი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარი, კონსოლიდირებული ტენდერების შედეგად დადებული 24 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **642855.32** (ექვსას ორმოცდაორი ათას რვაას ორმოცდათხუთმეტი ლარი და ოცდათორმეტი თეთრი) ლარი, კონკურსის შედეგად დადებული 1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **9440.00** (ცხრა ათას ოთხას ორმოცი) ლარი და გამარტივებული შესყიდვების საშუალებით დადებული 138 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **2007669.16** (ორი მილიონ შვიდი ათას ექვსას სამოცდაცხრა ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარი (იხ. დანართი - 2025 წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების „Excel"-ის ცხრილი).

2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით სულ გამოცხადებულია **88** ელექტრონული შესყიდვის პროცედურა, მათ შორის **86** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT), 1 - კონკურსი (CNT) და 1 - ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი (MEP). აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეთა რაოდენობა უმეტესწილად შეადგენს 2 ან 3 პრეტენდენტს, რაც კონკურენტული გარემოს მაჩვენებელია.

2025 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ სულ განხილულია **264** საკითხი, **87** ელექტრონულ შესყიდვაზე განხორციელებულია შესაბამისი პროცედურები (სატენდერო/საკონკურსო პირობების შედგენა/დამტკიცება, ტენდერის/კონკურსის გამოცხადება, შერჩევა - შეფასება, გამარჯვებულის გამოვლენა, ხელშეკრულების დასადებად მოწვევა და სხვა), ამავე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია სათანადო დოკუმენტაცია (ჯამში ათასობით ნაბეჭდი ფურცლის დასკანერებული და დაფორმატებული (pdf/xlsx)) ასლები: ხელწერილები ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტები, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, მათში ცვლილების შეტანის თაობაზე მხარეებს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმებები და ხელშეკრულებების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები, შესრულებული სამუშაოების აქტები, საექსპერტო/აუდიტორული დასკვნები, ინსპექტირების ანგარიშები, ფაქტობრივი გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა).

2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, ყოველი შესყიდვის პროცედურის დაწყებამდე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები შესყიდვის კონკრეტული ობიექტების

მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების, ბაზრის კვლევის, პოტენციური მომწოდებლების მოძიების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა სატენდერო დოკუმენტაციის სტანდარტული სარეკომენდაციო პროექტები, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სრულად ხელმძღვანელობს აღნიშნული რეკომენდაციებით, აგრეთვე, კონკრეტული ტენდერის/კონკურსის გამოცხადებამდე, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს შეთანხმებისათვის წინასწარ ეგზავნება თითოეული ელექტრონული შესყიდვის სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაცია, მათ შორის - ტექნიკური მოთხოვნები და ხელშეკრულების პროექტი (დანართებთან ერთად).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის №1 დადგენილებით ცვლილება შევიდა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №36 დადგენილებაში და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ხარჯებში გაიწერა 2025 წლიდან გარდამავალი ვალდებულებები, რომელთა შესაბამისი შესყიდვები ან/და თანხის ანაზღაურება განხორციელდება 2026 წელს. აღნიშნულის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში განხორციელდა შესაბამისი კორექტირება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ყველა შესყიდვა განხორციელებულია დადგენილი წესების, პროცედურებისა და ვადების დაცვით, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი შემდეგი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებები და განკარგულებები, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები, აგრეთვე სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები (სახელმწიფო შესყიდვების წესებსა და პროცედურებს არეგულირებს 30-ზე მეტი სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ასევე სხვადასხვა მეთოდური მითითებები).

**დანართი:** 2025 წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების **„Excel“-ის** ცხრილი.

**პატივისცემით,**